პროექტი

საქართველოს კანონი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N5, 18.01.2005, მუხ. 19) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ამ კანონის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აუდიოვიზუალური მედია მომსახურებებისა და რადიომაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი“;

2. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. კანონის მიზანი და რეგულირების სფერო

1. ეს კანონი სიტყვისა და აზრის თავისუფლებისა და თავისუფალი მეწარმეობის პრინციპების შესაბამისად განსაზღვრავს აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების მიწოდებისა და რადიომაუწყებლობის განხორციელების წესს, აუდიოვიზუალური მედია მომსახურებებისა და რადიომაუწყებლობის სფეროში ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს შექმნის წესსა და ფუნქციებს, ამ სფეროებში საქმიანობის რეგულირების პირობებს, აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების გაწევისა და რადიომაუწყებლობის განხორციელების უფლების მოპოვების წესსა და პროცედურებს.

2. ამ კანონის მიზანია სახელმწიფო ჩარევისაგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მაუწყებლობის ფორმირება; აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისა და რადიომაუწყებლობის სფეროში საქმიანობის რეგულირება გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების შესაბამისად, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მეშვეობით; სიტყვისა და აზრის თავისუფლების, აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელთა შორის, ასევე, რადიომაუწყებელთა შორის კონკურენტული გარემოს სტიმულირების, აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელთა და რადიო მაუწყებელთა თანასწორობისა და დამოუკიდებლობის, სიხშირეების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა.

3.ამ კანონის მოქმედება აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელზე ვრცელდება შემდეგი ერთ-ერთი პირობის არსებობისას:

ა) აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელს აქვს სათაო ოფისი საქართველოში და აუდიოვიზუალური მედია მომსახურების თაობაზე სარედაქციო გადაწყვეტილებები მიიღება საქართველოში;

ბ) აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიწოდებაში ჩართული სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი საქმიანობას ეწევა საქართველოში, მიუხედავად სათაო ოფისისა და სარედაქციო გადაწყვეტილებების მიღების ადგილისა;

გ) აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიწოდებაში ჩართული სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი საქმიანობას ეწევა როგორც საქართველოში, ასევე, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში ან სხვა სახელმწიფოში, თუმცა, სათაო ოფისი აქვს საქართველოში;

დ) აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიწოდებაში ჩართული სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი საქმიანობას არ ეწევა საქართველოში და ევროკავშირის წევრ

სახელმწიფოში, მაგრამ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აუდიოვიზუალური მედია მომსახურების სფეროში საქმიანობა დაიწყო საქართველოში და შენარჩუნებული აქვს სტაბილური და ეფექტიანი კავშირი საქართველოს ეკონომიკასთან.

4. ამ კანონის მოქმედება ასევე ვრცელდება შემდეგ აუდიოვიზუალურ მედია მომსახურების მიმწოდებლებზე:

ა) მედია-მომსახურების მიმწოდებელი, რომელიც სარგებლობს საქართველოში განთავსებული თანამგზავრული კომუნიკაციის (კავშირის) სადგურით;

ბ) მედია-მომსახურების მიმწოდებელი, რომელიც არ სარგებლობს საქართველოში განთავსებული თანამგზავრული კომუნიკაციის (კავშირის) სადგურით, თუმცა იყენებს საქართველოს კუთვნილი თანამგზავრის ფუნქციურ რესურს;

5. აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელზე ამ კანონის მოქმედება არ გავრცელდება, თუ აუდიოვიზუალური მედია მომსახურება გათვალისწინებულია ექსკლუზიურად მესამე ქვეყნებში მისაღებად და მისი პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით მიღება სტანდარტული სამომხმარებლო მოწყობილობით საქართველოს აუდიტორიის მიერ შეუძლებელია.";

3. მე-2 მუხლის:

ა) გ[1]) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ[1]) ბენეფიციარი მესაკუთრე – პირი, რომელიც კანონის ან გარიგების საფუძველზე აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის ან რადიომაუწყებლის საქმიანობიდან იღებს ან შეიძლება მიიღოს ფულადი ან სხვა სახის სარგებელი და ამ სარგებლის სხვა პირისათვის გადაცემის ვალდებულება არ აქვს, ხოლო თუ ბენეფიციარი მესაკუთრე არის იდეალური მიზნებისათვის შექმნილი პირი, ან თუ მესაკუთრე იურიდიულ პირს არ ჰყავს მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრე პირი, მაშინ – მისი მმართველი ორგანოს წევრი;"

ბ) ე) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) დაინტერესებული პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის ან/და რადიომაუწყებლის საქმიანობა;"

გ) ვ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) დამოუკიდებელი პროგრამა – პროგრამა, რომლის საავტორო უფლებების მფლობელსა და აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელს ან რადიომაუწყებელს შორის არ არსებობს ურთიერთდამოკიდებულება;"

დ) ზ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ევროპული წარმოების პროდუქცია – პროდუქცია, რომელიც წარმოებულია ევროპის იმ ქვეყანაში, რომელშიც ძალაშია „ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ" ევროპის კონვენცია, ან საქართველოში, ან რომლის საავტორო უფლებების მფლობელია ამ ქვეყნის ან საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ან პროდუქცია, რომელიც თანაწარმოებულია ევროკავშირსა და მესამე ქვეყნებს შორის აუდიოვიზუალურ სექტორთან დაკავშირებული

შეთანხმებების ფარგლებში და რომელიც აკმაყოფილებს ყოველ აღნიშნულ შეთანხმებაში გათვალისწინებულ პირობებს, ასევე, ევროპული წარმოების პროდუქცია წარმოადგენს პროდუქციას, რომელიც ძირითადად დამზადებულია საქართველოში და/ან ევროკავშირის ერთი ან ერთზე მეტი წევრი სახელმწიფოს რეზიდენტ ავტორებთან და სხვა პირებთან ერთად, თუ ისინი აკმაყოფილებენ შემდეგი სამი პირობიდან ერთ-ერთს: ა) პროდუქცია დამზადებულია ამ ქვეპუნქტში მითითებულ ერთ ან ერთზე მეტ სახელმწიფოში დაფუძნებული ერთი ან ერთზე მეტი მწარმოებლის მიერ; ბ) პროდუქციის წარმოებას ზედამხედველობასა და ფაქტიურ კონტროლს უწევს ამ ქვეპუნქტში მითითებულ ერთ ან ერთზე მეტ სახელმწიფოში დაფუძნებული ერთი ან ერთზე მეტი მწარმოებელი; გ) ამ ქვეპუნქტში მითითებული სახელმწიფოებიდან თანამწარმოებლების სრულ თანაწარმოებაში გაწეული ხარჯი მნიშვნელოვნად აღემატება სხვა სახელმწიფოებიდან თანამწარმოებელთა მიერ გაწეულ ხარჯებს და თანაწარმოება არ ექვემდებარება აღნიშნული სახელმწიფოების ფარგლებს გარეთ დაფუძნებული ერთი ან ერთზე მეტი მწარმოებლის კონტროლს;“

ე) ლ) ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს ლ[1]) ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ ლ[1]) კერძო აუდიოვიზუალური მედია მომსახურება გამოძახებით - ამ კანონით დადგენილი წესით, კერძო სამართლის კომერციული ან არაკომერციული პირის მიერ განხორციელებული გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურება, რომელიც არ არის არც საზოგადოებრივი და არც სათემო მაუწყებლობა;“

ვ) პ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) კომისიის რეგულირების სფერო – ელექტრონული კომუნიკაციების, აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისა და რადიომაუწყებლობის სფერო, რომელშიც მომსახურების გაწევა ან საქმიანობა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ კანონის თანახმად ექვემდებარება ლიცენზირებას ან/და ავტორიზაციას და რომელშიც კომისია ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სპეციალურ უფლებამოსილებებს;“

ზ) ს) ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ს[1]) ქვეპუნქტი:

„ს[1]) აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელი – ტელემაუწყებელი ან/და გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების მიმწოდებელი, რომელსაც აკისრია სარედაქციო პასუხისმგებლობა აუდიოვიზუალური მედია მომსახურების შინაარსის არჩევაზე და განსაზღვრავს მისი ორგანიზების მეთოდს.“

თ) ტ[2] ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ტ[3]):

„ტ[3]) გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების მიმწოდებელი - აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების მიმწოდებელი, რომლის მიერ განსაზღვრული პროგრამების კატალოგის საშუალებით მომხმარებელი ინდივიდუალური მოთხოვნისამებრ, მის მიერ შერჩეულ დროს უყურებს პროგრამებს.“

ი) ტ[3] ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ტ[4]) ქვეპუნქტი:

„ტ[4]) სარედაქციო პასუხისმგებლობა – პროგრამების შერჩევასა და მათ ორგანიზებაზე ეფექტიანი კონტროლის განხორციელება პროგრამების ქორნოლოგიური განრიგის საშუალებით მაუწყებლის

მიერ, ან/და პროგრამების კატალოგის საშუალებით გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების მიმწოდებლის მიერ;“

კ) შ) ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შ[1]) ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„შ[1]) შეზღუდული შესაძლებლობების პირი - სმენადაქვეითებული, სმენის არმქონე, მხედველობადაქვეითებული და უსინათლო პირი;“

ლ) ჩ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჩ) პრაქტიკული საქმიანობის დაწყება – აუდიოვიზუალური მედია მომსახურების ან რადიომაუწყებლობის დაწყება;“

მ) ც) ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ც1) ქვეპუნქტი:

„ც[1]) პროგრამა – პირდაპირ ან ჩანაწერის მეშვეობით გადაცემული ხმით ან ხმის გარეშე მოძრავი გამოსახულებების კრებული, რომელიც წარმოადგენს ტელემაუწყებლის მიერ ორგანიზებული ქრონოლოგიური განრიგის ან/და გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების მიმწოდებელის კატალოგის შემადგენელ ინდივიდუალურ ნაწილს, ასევე, პირდაპირ ან ჩანაწერის მეშვეობით რადიომაუწყებლის მიერ ეთერში ხმით გადაცემული რადიოპროდუქცია. პროგრამებს მიეკუთვნებიან მხატვრული, ანიმაციური და დოკუმენტური ფილმები, სპორტული ღონისძიებები, საბავშო პროგრამები, ახალი ამბები და საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგამები და ა.შ.

ნ) ძ) ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ძ[1]) ქვეპუნქტი:
„ძ[1]) აუდიოვიზუალური სარეკლამო კომუნიკაცია – გამოსახულება ხმით ან ხმის გარეშე, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური ან იურიდიული პირის, საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას. ასეთი გამოსახულებები თან ახლავს ან/და ინტეგრირებულია პროგრამაში საფასურის ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სანაცვლოდ. აუდიოვიზუალური კომერციული კომუნიკაცია წარმოადგენს აუდიოვიზუალურ მედიამომსახურებას და მოიცავს კომერციულ რეკლამას, ტელეშოპინგს, სპონსორობასა და პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსებას (Product Placement);”

ო) ჯ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჯ) საერთო აუდიოვიზუალური მედია მომსახურება (საერთო ტელემაუწყებლობა ან/და საერთო გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურება) – არანაკლებ 2 თემატიკის, მათ შორის, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის, პროგრამებით ტელემაუწყებლობა ან/და გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურება;”

პ) ჯ) ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს ჯ[1]) ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:
„ჯ[1]) საერთო რადიომაუწყებლობა – არანაკლებ 2 თემატიკის, მათ შორის, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის, პროგრამებით რადიომაუწყებლობა;”

ჟ) 3^{4}) ქვეპუნქტი ჩამოყალიდეს შემდეგი რედაქციით:

„3^{4}) კონცეფცია – ლიცენზიის მაძიებლის/ავტორიზაციის მსურველის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელიც ასახავს აუდიოვიზუალური მედია მომსახურების ან რადიომაუწყებლობის მოდელს და შეიცავს პროგრამული მიმართულებების მოკლე აღწერილობას;

რ) 3^{8}) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3^{8})სპეციალიზებული აუდიოვიზუალური მედია მომსახურება (სპეციალიზებული ტელემაუწყებლობა ან/და სპეციალიზებული გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურება)– ძირითადად ერთი თემატიკის (ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის გარდა) პროგრამებით ტელემაუწყებლობა ან/და გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურება;"

ს) 3^{11}) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგ რედაქციით:

„3^{11}) ურთიერთდამოკიდებულება – ურთიერთობა, რომელიც არსებობს, თუ ერთი პირი პირდაპირ ან ირიბად ფლობს მეორე პირის აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს, არის მისი თანამდებობის პირი, ან მისთვის ან მისი აქციონერის, პარტნიორის ან თანამდებობის პირისთვის ასრულებს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს; აგრეთვე თუ ერთი აუდიოვიზიალური მედია მომსახურების მიმწოდებელი ახორციელებს აუდიოვიზუალური მედია მომსახურებას მეორე აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის მეშვეობით; აგრეთვე თუ ერთი რადიომაუწყებელი ახორციელებს მაუწყებლობას მეორე რადიომაუწყებლის მეშვეობით;"

ტ) 3^{13}) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგ რედაქციით:

„3^{13}) ქცევის კოდექსი – ამ კანონის საფუძველზე კომისიის მიერ მიღებული ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელთა და მაუწყებელთა მიერ მომსახურების გაწევის წესებს;"

უ) 3^{16}) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3^{16}) ავტორიზაცია – კომისიის მიერ აუდიოვიზუალური მედია მომსახურების და რადიომაუწყებლობის სფეროში საქმიანობის (გარდა საეთერო რადიომაუწყებლობისა) ამ კანონით დადგენილი ერთიანი წესით რეგისტრაცია;"

ფ) 3^{19}) ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^{20}) ქვეპუნქტი:

„3^{20}) ავტორიზებული პირი - კომისიის მიერ ამ კანონის საფუძველზე რეგისტრირებული ნებისმიერი სამეწარმეო პირი ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიწოდებას ან რადიომაუწყებლობას (გარდა საეთერო რადიომაუწყებლობისა);"

ქ) 3^{20}) ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^{21}) ქვეპუნქტი:

„3^{21}) გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია-მომსახურება – გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული მომსახურება,

აირჩიოს და უყუროს პროგრამებს მომხარებლის ინდივიდუალური მოთხოვნისამებრ და მომხმარებლის მიერ არჩეული დროის მონაკვეთში, გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების მიმწოდებლის მიერ შერჩეული პროგრამების კატალოგის საფუძველზე;“

ღ) ჰ[21]) ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ჰ[22]) და ჰ[23]) ქვეპუნქტები:

„ჰ[22]) ფარული აუდიოვიზუალური სარეკლამო კომუნიკაცია – პროდუქტის, მომსახურების ან პროდუქტის მწარმოებლის ან მომსახურების მიმწოდებლის სახელის, სავაჭრო ნიშნის ან საქმიანობის სიტყვიერი ან გრაფიკული გამოსახულების პროგრამებში განთავსება მედია მომსახურების მიმწოდებლის მიერ რეკლამირების განზრახვით იმგვარად, რომ ამ გამოსახულებათა პროგრამებში განთავსების დანიშნულებასთან მიმართებაში მაყურებელი შესაძლოა შეცდომაში შევიდეს. ამგვარი გამოსახულებები პროგრამებში განზრახ განთავსებულად მიიჩნევა, თუ განხორციელებულია საფასურის ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სანაცვლოდ;

ჰ[23])სპეციალიზებული რადიომაუწყებლობა – ძირითადად ერთი თემატიკის (ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის გარდა) პროგრამებით რადიომაუწყებლობა.“

4. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. კანონმდებლობა აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისა და რადიომაუწყებლობის სფეროში

1. აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისა და რადიომაუწყებლობის სფეროში კანონმდებლობას შეადგენს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, ეს კანონი, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონები, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.
2. აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისა და რადიომაუწყებლობის სფეროში კანონმდებლობის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციის, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოსთვის იურიდიული ძალის მქონე სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად.
3. უცხო ქვეყნის მოქალაქე და იურიდიული პირი, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი სარგებლობენ საქართველოს მოქალაქისათვის ან მეწარმე სუბიექტისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.”

5. მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისა და რადიომაუწყებლობის სფეროში საქმიანობას არეგულირებს კომისია;“

6. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისა და რადიომაუწყებლობის სფეროში კომისიის ფუნქციებია:
ა) აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისა და რადიომაუწყებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ წინადადებების შემუშავება საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო და გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით;
ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინადადებების განხორციელებაზე ზედამხედველობა და კონტროლი;
გ) სალიცენზიო პირობების დადგენა; ლიცენზიების გაცემა და მოდიფიცირება; ლიცენზიების მოქმედების შეჩერება და განახლება; ლიცენზიების გაუქმება; სალიცენზიო პირობების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი; სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში ლიცენზიების მფლობელებისთვის შესაბამისი სანქციების დაკისრება;
დ) სიხშირული სპექტრის დადგენა და განაწილება კანონით განსაზღვრული წესით;
ე) სიხშირეების მინიჭება;
ვ) აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისა და რადიომაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი; ამ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი სანქციების დაკისრება;
ზ) კონკურენტული გარემოს შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი;
თ) სალიცენზიო გადასახდელისა და რეგულირების საფასურის ოდენობებისა და გადახდის წესის განსაზღვრა;
ი) საავტორო და მომიჯნავე უფლებების, მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის, აგრეთვე რეკლამის შესახებ საკანონმდებლო აქტების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი;
კ) აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელთა შორის, რადიომაუწყებელთა შორის, აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელთა და რადიომაუწყებელთა შორის, აგრეთვე მათსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში;
ლ) სამართლებრივი აქტების, მათ შორის, ქცევის კოდექსის, მიღება;
მ) ავტორიზაცია, ავტორიზაციის პირობების მოდიფიცირება, ავტორიზაციის შეჩერება, განახლება და გაუქმება, აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისა და რადიომაუწყებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და ავტორიზაციის პირობების დაცვაზე ზედამხედველობა და კონტროლი;
ნ) ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ წარსადგენი ქონებრივი დეკლარაციების ფორმების დადგენა შესაბამისი სამართლებრივი აქტით;
ო) კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.“

7. მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:

„10. კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება, მისი გათავისუფლების კონკრეტული საფუძვლის მითითებით, კომისიის მიერ მის ვებ–გვერდზე ქვეყნდება დაუყოვნებლივ.“

8. მე-12 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. რეგულირების საფასურის გადამხდელები არიან აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლები და რადიომაუწყებლები. რეგულირების საფასურის ოდენობაა აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის/რადიომაუწყებლის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0,5 პროცენტი. რეგულირების საფასური გამოიანგარიშება კალენდარული წლის განმავლობაში აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელთა/რადიომაუწყებელთა შემოსავლიდან ნაზარდი ჯამით წლის დასაწყისიდან ყოველთვიურად ფაქტობრივად მიღებული შემოსავლიდან გამომდინარე. აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლები/რადიომაუწყებლები ვალდებული არიან, ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, კომისიის ანგარიშზე ჩარიცხონ რეგულირების საფასური და კომისიას წარუდგინონ ინფორმაცია კომისიის მიერ განსაზღვრული ფორმით.”

9. მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომისიის ანგარიშის ის ნაწილი, რომელიც შეეხება აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისა და რადიომაუწყებლობის სფეროს, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:
ა) აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისა და რადიომაუწყებლობის სფეროში პრიორიტეტების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ;
ბ) აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისა და რადიომაუწყებლობის ბაზრის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ;
გ) სიხშირეთა გეგმისა და თავისუფალი სიხშირეების შესახებ;
დ) გაცემული ლიცენზიების რაოდენობის შესახებ;
ე) განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ;
ვ) გამოყენებული სანქციების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ;
ზ) საზოგადოებრივი აზრის, აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისა და რადიომაუწყებლობის ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ;
თ) კომისიის მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ;
ი) კომისიის ბიუჯეტის შესრულების შესახებ;
კ) აუდიტის დასკვნას.
ლ) ავტორიზებული აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლებისა და რადიომაუწყებლების შესახებ.“

10. მე-14 მუხლის:

ა) პირველი, მე-2 და 2^1 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელი და რადიომაუწყებელი ვალდებულია ქცევის კოდექსის საფუძველზე შექმნას თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვასა და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას.
2. მაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა, გარდა ამ კანონის 52-ე, 54-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმებისა, აგრეთვე სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს კომისიას ან სასამართლოს. ამ კანონის 56-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს მაუწყებლის/გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის თვითრეგულირების ორგანოს. დაინტერესებული პირი უფლებამოსილია გაასაჩივროს მაუწყებლის/გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება კომისიაში ან სასამართლოში, მისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში.

2^1. აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის ან/და რადიომაუწყებლის მიერ ავტორიზაციის პირობების დარღვევის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, მიმართოს კომისიას ან სასამართლოს.“ ;

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, კომისია უფლებამოსილია განიხილოს აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის ან/და რადიომაუწყებლის მიმართ შესაბამისი სანქციის გამოყენების საკითხი.“;

11. IV თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი IV. აუდიოვიზუალური მედია მომსახურების და რადიომაუწყებლობის სფეროში საქმიანობის ლიცენზირება და ავტორიზაცია“;

12. 36-ე მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 36. აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისა და რადიომაუწყებლობის სფეროში საქმიანობის საფუძვლები“;

13. 36-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურება ხორციელდება ავტორიზაციის საფუძველზე.“;

14. 36^2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 36^2. ავტორიზაციის ორგანიზება

აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისა და რადიომაუწყებლობის სფეროში საქმიანობის ავტორიზაციას ახორციელებს კომისია, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით:

ა) ახდენს ამავე კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განმახორციელებელ პირთა ავტორიზაციას და აწარმოებს ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრს;
ბ) აკონტროლებს ავტორიზებულ პირთა მიერ აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისა და რადიომაუწყებლობის სფეროში კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების, შესრულებას;
გ) ამავე კანონით დადგენილი წესით აჩერებს და აუქმებს ავტორიზაციას;
დ) ახორციელებს ავტორიზაციის სფეროში კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.“;

15. 37-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 37. აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისა და რადიომაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი

1. ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე ან საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი.

2. ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი არ შეიძლება იყოს:
ა) ადმინისტრაციული ორგანო ;
ბ) ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი , სხვა საჯარო მოხელე ;
გ) ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირი ;
დ) პოლიტიკური პარტია , პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირი ;
ე) ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული იურიდიული პირი ;
ვ) იურიდიული პირი , რომლის წილს ან აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული პირი ;
ზ) პირი, რომლის ბენეფიციარი მესაკუთრე არის სხვა სახელმწიფოს ამ პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირი.“;
3. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა სახელმწიფოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ორგანოს მიერ დაფუძნებული მაუწყებლისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მაუწყებლობის უფლების მინიჭებას ან/და ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ორგანოს მიერ დაფუძნებული მაუწყებლისათვის საქართველოს ტერიტორიის ფარგლების გარეთ მაუწყებლობის უფლების მინიჭებას.

16. 38-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 38. მაუწყებლობის სახეები და სახეობები/გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების სახეობები
1. მაუწყებლობა ხორციელდება ავტორიზაციის ან ლიცენზიის საფუძველზე. გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურება ხორციელდება ავტორიზაციის საფუძველზე.
2. მაუწყებლობის სახეებია ტელემაუწყებლობა და რადიომაუწყებლობა. ტელემაუწყებლობა და რადიომაუწყებლობა (გარდა საეთერო რადიომაუწყებლობისა) ხორციელდება ავტორიზაციის საფუძველზე. საეთერო რადიომაუწყებლობა ხორციელდება ლიცენზიის საფუძველზე.
3. მაუწყებლობის სახეობებია სათემო მაუწყებლობა და კერძო მაუწყებლობა, ხოლო გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების სახეობაა კერძო გამოძახებითი აუდიოვიზუალური მედია მომსახურება.
4. კერძო მაუწყებლობის ქვესახეობებია საერთო მაუწყებლობა და სპეციალიზებული მაუწყებლობა. კერძო გამოძახებითი აუდიოვიზუალური მედია მომსახურების ქვესახეობებია საერთო გამოძახებითი აუდიოვიზუალური მედია მომსახურება და სპეციალიზებული გამოძახებითი აუდიოვიზუალური მედია მოსახურება. კერძო სპეციალიზებული მაუწყებლობისათვის, ასევე, კერძო სპეციალიზებული გამოძახებითი აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისათვის, ლიცენზირებისას/ავტორიზაციისას მიეთითება პროგრამების თემატიკა/თემატიკები.
5. გეოგრაფიული არეალის მიხედვით მაუწყებლობა არის ეროვნული ან ადგილობრივი.
6. პროგრამების ხელმისაწვდომობის მიხედვით მაუწყებლობა/გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურება შეიძლება იყოს ფასიანი ან უფასო.
7. მაუწყებლობისათვის ლიცენზირებისას/ავტორიზაციისას მიეთითება:
ა) მაუწყებლობის ენა/ენები;
ბ) დღე-ღამის განმავლობაში მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობა. იგი საეთერო ტელემაუწყებლობის შემთხვევაში 12 საათი უნდა იყოს; (27.04.2016. N5020 ამოქმედდეს ამ კანონის გამოქვეყნებიდან 90-ე დღეს)
გ) მაუწყებლობის გავრცელების ტექნოლოგია;
დ) მაუწყებლობის დაწყების ვადა;
ე) მაუწყებლობის გავრცელების სავარაუდო გეოგრაფიული ზონა.
7[1]. გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურებისთვის ავტორიზაციისას მიეთითება:
ა) გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების ენა/ენები;

ბ) გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიწოდების ტექნოლოგია;
გ) გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების დაწყების ვადა.
8. სიხშირული სპექტრის გამოყენებით რადიომაუწყებლობის ტრანზიტი დაიშვება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული რადიომაუწყებლის რადიომაუწყებლობის უცვლელი სახით გადასაცემად თავისუფალი საეთერო დროის განმავლობაში, როდესაც რადიომაუწყებლობის ტრანზიტის უზრუნველმყოფი პირი საკუთარ მაუწყებლობას არ ახორციელებს. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული რადიომაუწყებლის არხზე სხვა სახელმწიფოს რეზიდენტი რადიომაუწყებლის ტრანზიტი დასაშვებია მხოლოდ ამ კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტით გავალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში.

9. ლიცენზიის გაცემა, მოდიფიცირება, მოქმედების ვადის გაგრძელება, მოქმედების შეჩერება და ლიცენზიის გაუქმება ხორციელდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.
10. ავტორიზაცია, ავტორიზაციის პირობების მოდიფიცირება და მაუწყებლის ინიციატივით ავტორიზაციის შეჩერება ან გაუქმება ხორციელდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. კომისიის ინიციატივით ავტორიზაციის შეჩერება ან გაუქმება ხორციელდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით."

17. 45[1] მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 45[1]. ავტორიზაციის ერთიანი წესი
1. სათემო ან კერძო მაუწყებლობის ან გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების განხორციელების მსურველი პირი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომლის ფორმასაც ამტკიცებს კომისია.
2. მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის ავტორიზაციის მსურველი პირის განცხადებაში მითითებული უნდა იყოს:
ა) ფიზიკური პირისათვის – სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის შესახებ მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;
ბ) იურიდიული პირისათვის – საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები პარტნიორთა შესახებ, აგრეთვე იმ აქციონერთა შესახებ, რომლებიც აქციების 5%-ს ან მეტს ფლობენ;
გ) განსახორციელებელი მაუწყებლობის სახე, სახეობა და ქვესახეობა, რომლის ავტორიზაციასაც ავტორიზაციის მსურველი ითხოვს;
დ) მაუწყებლობის ენა/ენები;
ე) დღე-ღამის განმავლობაში მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობა. იგი საეთერო ტელემაუწყებლობის შემთხვევაში 12 საათი უნდა იყოს;
ვ) მაუწყებლობის გავრცელების ტექნოლოგია;
ზ) მაუწყებლობის გავრცელების სავარაუდო გეოგრაფიული ზონა;
თ) განსახორციელებელი საქმიანობის მოკლე აღწერილობა;
ი) მაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში.
3. გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურებაზე ავტორიზაციის მსურველი პირის მიმწოდებლის განცხადებაში მითითებული უნდა იყოს:
ა) ფიზიკური პირისათვის – სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის შესახებ მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;
ბ) იურიდიული პირისათვის – საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული

პირების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები პარტნიორთა შესახებ, აგრეთვე იმ აქციონერთა შესახებ, რომლებიც აქციების 5%-ს ან მეტს ფლობენ;

გ) ვებ–გვერდის ელექტრონული მისამართი, რომლის მეშვეობითაც გამოძახებითი აუდიოვიზუალური მედია-მომსახურება ხელმისაწვდომია მომხმარებლებისათვის, ან/და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების მიწოდების მიზნით გამოყენებული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საშუალებების თაობაზე

დ) განსახორციელებელი საქმიანობის მოკლე აღწერილობა;

4. განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან; ფიზიკური პირის შემთხვევაში – შესაბამისი საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლი;

ბ) შესაბამისობის დეკლარაცია;

გ) განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების გეგმა და ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ;

დ) განსახორციელებელი აუდიოვიზუალური მედია მომსახურების ან რადიო მაუწყებლობის კონცეფცია;

ე) ფიზიკური პირისათვის – ამ პირისა და მისი ოჯახის წევრების ქონებრივი დეკლარაცია;

ვ) იურიდიული პირისათვის – ცნობა განცხადებული საწესდებო კაპიტალისა და მისი განაღდებული ნაწილის შესახებ, ცნობა აქტივებისა და პასივების შესახებ, ინფორმაცია საწესდებო კაპიტალისა და აქტივების საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ, მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა ქონებრივი დეკლარაცია.

5. განცხადების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში კომისია ახორციელებს ავტორიზაციას ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში რეგისტრაციით. ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში შეიტანება შესაბამისობის დეკლარაციის მონაცემებიც და დეკლარაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის.

6. თუ საავტორიზაციო განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია არასრულყოფილადაა წარმოდგენილი, კომისია ავტორიზაციის მსურველ პირს დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენისათვის განუსაზღვრავს 5 სამუშაო დღის ვადას. ამ ვადაში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ავტორიზაცია არ განხორციელდება. ავტორიზაციის განუხორციელებლობა არ ართმევს პირს უფლებას, განმეორებით მიმართოს კომისიას ავტორიზაციისათვის. თუ განცხადების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში კომისია ავტორიზაციის მსურველ პირს არ განუსაზღვრავს ვადას დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენისათვის, პირი ავტორიზებულად ჩაითვლება.

7. ავტორიზებულ პირზე 3 სამუშაო დღის ვადაში გაიცემა ამონაწერი ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრიდან.

8. თუ ავტორიზებული პირი წყვეტს აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებას, ან ავტორიზებულ პირს განზრახული აქვს ავტორიზებული საქმიანობის, მათ შორის, მაუწყებლობის სახეობის, მოდიფიცირება, ავტორიზებული პირი ვალდებულია ეს 7 სამუშაო დღით ადრე შეატყობინოს კომისიას. ავტორიზაციის შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე ავტორიზებული საქმიანობის, მათ შორის, მაუწყებლობის სახეობის, მოდიფიცირების შესახებ მონაცემები შეიტანება ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში.

9. ავტორიზაცია ხორციელდება განუსაზღვრელი ვადით.

10. პირს უფლება აქვს, დაიწყოს აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიწოდება ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში რეგისტრაციის დღიდან.

11. ავტორიზებული პირი ვალდებულია:

ა) დაიცვას აუდიოვიზუალური მედია მომსახურების სფეროში მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის, კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები; მაუწყებლობის სფეროში მოქმედ

კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში უზრუნველყოს ავტორიზებული საქმიანობის მათთან შესაბამისობა;

ბ) დაიცვას ავტორიზაციის ყველა პირობა, რომლებიც მის საავტორიზაციო განცხადებაშია ასახული;

გ) თავის საქმიანობაში დაიცვას პირთა უფლებები, თავისუფლებები და კანონიერი ინტერესები, წინასწარ აცნობოს მომხმარებელს მომსახურების პირობების შესაძლო ცვლილების შესახებ;

დ) მაუწყებელმა ყოველკვირეულად გამოაქვეყნოს და კომისიას მიაწოდოს მომდევნო კვირის პროგრამების განრიგი, პროგრამების დასახელებისა და მოკლე ანოტაციის მითითებით, ხოლო გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელმა უზრუნველყოს საკუთარ კატალოგებში განთავსებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება და კომისიისათვის ორ კვირაში ერთხელ მიწოდება;

ე) გამოყენებული ტექნიკური საშუალებები და განხორციელებული მომსახურების ხარისხი შეუსაბამოს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ნორმატივებსა და სტანდარტებს, იქონიოს შესაბამისობის სერტიფიკატი; დაიცვას გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციის წესი;

ვ) კომისიას წარუდგინოს პროგრამების გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; უზრუნველყოს ავტორიზაციით განსაზღვრული საქმიანობის დაწყებამდე 10 დღით ადრე კომისიისთვის პროგრამების გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა.

12. საქართველოში ავტორიზებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს მინიმუმ შემდეგი სახის ინფორმაციის მარტივი და მუდმივი ხელმისაწვდომობა მის ვებ-გვერდზე:
ა) ავტორიზებული პირის სახელი;
ბ) ავტორიზებული პირის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი;
გ) ავტორიზებული პირის საკონტაქტო მონაცემები, მათ შორის ელექტრონული საფოსტო მისამართი, რაც უზრუნველყოფს მასთან სწრაფი და ეფექტიანი დაკავშირების შესაძლებლობას;
დ) ინფორმაცია, რომ კომისია წარმოადგენს იმ კომპეტენტურ მარეგულირებელ ორგანოს, რომელსაც ავტორიზებული პირის მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დარღვევის ჩადენის შემთხვევაში შეუძლია მიმართოს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს;
13. კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს ავტორიზაცია:
ა) ავტორიზებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, მის მიერ მითითებული ვადით;
ბ) საკუთარი ინიციატივით, თუ ავტორიზებული პირი ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ერთობლივად:
ბ.ა) არ ახორციელებს ავტორიზებულ საქმიანობას;
ბ.ბ) არ წარუდგენს კომისიას რეგულირების საფასურის გაანგარიშებებს ან წარუდგენს ნულოვან გაანგარიშებას;
ბ.გ) არ იხდის რეგულირების საფასურს;
გ) საკუთარი ინიციატივით, თუ ავტორიზებული პირი არღვევს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და მის მიმართ ამ დარღვევისათვის სანქციის სახით უკვე გამოყენებულია წერილობითი გაფრთხილება და ჯარიმა.
14. ავტორიზაციის შეჩერება ნიშნავს ავტორიზებული საქმიანობის აკრძალვას მის განახლებამდე.
15. ავტორიზაცია შეჩერდება:
ა) ავტორიზებული პირის მიერ მითითებული ვადით;

ბ) მაუწყებლობის განახლების შესახებ ინფორმაციის კომისიისათვის წარდგენამდე;
გ) დარღვევის აღმოფხვრამდე.
16. ამ მუხლის მე-13 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ავტორიზაციის შეჩერებისას ავტორიზაციის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება მიღებიდან 7 დღის ვადაში წერილობით, მოტივისა და საფუძვლის მითითებით ეცნობება ავტორიზებულ პირს.
17. ამ მუხლის მე-13 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ავტორიზაციის შეჩერებისას ავტორიზაცია განახლდება კომისიის მიერ ავტორიზებული პირის ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში გატარების მომენტიდან. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისია ავტორიზებულ პირს ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში ატარებს ავტორიზაციის განახლების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
18. ამ მუხლის მე-13 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ავტორიზაციის შეჩერებისას ავტორიზაცია განახლდება ავტორიზებული პირის მიერ დარღვევის აღმოფხვრის დადასტურებიდან 7 დღის ვადაში კომისიის მიერ მისი ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში გატარების მომენტიდან.
19. ამ მუხლის მე-13 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ავტორიზაციის შეჩერებისას ავტორიზებული პირის მიერ აუდიოვიზუალური მედია მომსახურების განახლება ხდება ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში გატარების შემდეგ კომისიისათვის საქმიანობის განახლების შესახებ შეტყობინების გაგზავნისა და კომისიის მიერ ამ შეტყობინების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შემდეგ.
20. ავტორიზაცია გაუქმდება:
ა) ავტორიზებული პირის განცხადების საფუძველზე. ამ შემთხვევაში ავტორიზებულ პირს კომისიის წინაშე ყველა კანონისმიერი ვალდებულება უნდა ჰქონდეს შესრულებული;
ბ) ავტორიზებული პირის გარდაცვალებისას ან ლიკვიდაციისას.
21. ავტორიზაციის გაუქმება არ აბრკოლებს პირს, ხელახლა გაიაროს ავტორიზაცია კანონით დადგენილი წესით.“;

18. IV თავის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის IV[1] თავი;

„თავი IV[1] გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურება

მუხლი 45[2]. გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, არასრულწლოვნებსა და ევროპული წარმოების პროდუქციასთან დაკავშირებით

1. გამოძახებით აუდიო-ვიზუალური მედია-მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი პროგრამების კატალოგში განათავსოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებული პროგრამები კომისიის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

2. იმ შემთხვევაში თუ გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების ფარგლებში ხორციელდება ისეთი პროგრამების გავრცელება, რომლებმაც შესაძლოა სერიოზული ზიანი მიაყენოს არასრულწლოვანთა ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებას, ასეთი პროგრამები უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ არასრულწლოვნებმა ეს პროგრამები როგორც წესი ვერ ნახონ ან ვერ მოისმინონ;

3. გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების მიმწოდებელმა შესაბამისი საშუალებებით ხელი უნდა შეუწყოს ევროპული წარმოების პროდუქციის წარმოებას და

ხელმისაწვდომობას, ასეთი შესაძლებლობის არსებობისას. ხელშეწყობა შეიძლება განხორციელდეს როგორც ფინანსური წვლილის შეტანით ევროპული პროდუქციის წარმოების ან შესაბამისი უფლებების შეძენის მხრივ ან გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების მიმწოდებლების მიერ შეთავაზებულ კატალოგებში ევროპული წარმოების პროდუქციის წილითა და მისთვის თვალსაჩინო ადგილის მინიჭებით.

19. IV[1] თავის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის IV[2] თავი;

„თავი IV[2]. აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების მიღება, გავრცელება და ტრანზიტი

მუხლი 45[3]. სამაუწყებლო არხების მიღება და ტრანზიტი

1. საქართველოს ტერიტორიაზე ნებადართულია სხვა სახელმწიფოებში ავტორიზებული/ლიცენზირებული ტელეარხების თავისუფალი მიღება და შეუზღუდავი ტრანზიტი;

2. კომისია უფლებამოსილია შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე დროებით არ დაუშვას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ტელეარხის გავრცელება საქართველოს ტერიტორიაზე, თუ:

ა) ტელეარხი აშკარად, მნიშვნელოვნად და სერიოზულად არღვევს ამ კანონის 56–ე, 56[1] და 63-ე მუხლის 2[3], 2[4] და 2[5] პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ან

ბ) ტელეარხმა უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, მინიმუმ ორჯერ დაარღვია ამ პუნქტის ა) ქვეპუნქტით გათვალსიწინებული მოთხოვნა, ან

გ) კომისიამ წერილობით შეატყობინა ტელეარხს სავარაუდო დარღვევისა და იმ ზომების შესახებ, რომელთა განხორციელებასაც კომისია გეგმავს იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი დარღვევა კვლავ განმეორდება;

მუხლი 45[4]. გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების მიღება და გავრცელება

1. ნებადართულია სხვა სახელმწიფოებიდან გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების თავისუფალი მიღება და შეუზღუდავი გავრცელება.

2. კომისია უფლებამოსილია შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე დროებით არ დაუშვას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების მიღება და გავრცელება საქართველოს ტერიტორიაზე, შემდეგი პირობების დაცვით:

ა) იმ შემთხვევაში, როდესაც კომისიის მიერ მიღებული ზომები:

ა.ა) აუცილებელია შემდეგი ნებისმიერი მიზნის მისაღწევად:
ა.ა.ა) საჯარო პოლიტიკა, კერძოდ, სისხლის სამართლის დანაშაულის თავიდან აცილება, გამოძიება, გამოვლენა და დევნა, ასევე, არასრულწლოვანთა დაცვა, ეთნიკური კუთვნილების, სქესის, რელიგიის თუ ეროვნების საფუძველზე ან სხვა ნიშნით სიძულვილის გაღვივებისა და ადამიანის ღირსების შეურაცხყოფის წინააღმდეგ ბრძოლა;
ა.ა.ბ) საზოგადოებრივი ჯანდაცვა;

ა.ა.გ) საზოგადოებრივი უსაფრთხოება, მათ შორის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის უზრუნველყოფა;
ა.ა.დ) მომხმარებლების, მათ შორის ინვესტორების დაცვა;

ა.ბ) მიმართულია აუდიოვიზუალურ მედია მომსახურებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება ამ მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტთით გათვალისწინებულ მიზნებს ან ასეთი წინააღმდეგობის მნიშვნელოვანი საფრთხის მატარებელია;
ა.გ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზნების პროპორციულია.

ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ზომების მიღებამდე, კომისიამ შესაბამისი ზომების მიღების მიზნით:

ბ.ა) მიმართა სხვა სახელმწიფოს შესაბამის მარეგულირებელ ორგანოს, რომლის იურისდიქციის ფარგლებშიც იმყოფება გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების მიმწოდებელი, თუ ამ მარეგულირებელ ორგანოს არ მიუღია სათანადო ზომები დარღვევის აღმოსაფხვრელად;

ბ.ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ზომების მიღების განზრახვის თაობაზე აცნობა იმ სახელმწიფოს მარეგულირებელ ორგანოს რომლის იურისდიქციის ფარგლებშიც იმყოფება გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების მიმწოდებელი,.

ბ.გ) კომისიის მიერ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ან სხვა სახელმწიფოს შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოსადმი მიმართვის პარალელურად საქართველოში შესაძლებელია აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობდეს სამართალწარმოება, მათ შორის, დანაშაულის გამოძიების ფარგლებში განსახორციელებელი პროცედურები და ქმედებები.";

3. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია არ დაუშვას გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების მიღება და გავრცელება საქართველოს ტერიტორიაზე, ამ მუხლის მე-2 პუნქტის ბ.ა) და ბ.ბ) ქვეპუნქტების დაცვის გარეშე. ასეთ შემთხვევაში კომისია ვალდებულია მიღებული ზომების თაობაზე აცნობოს იმ სახელმწიფოს, რომლის იურისდიქციის ფარგლებშიც იმყოფება გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია-მომსახურების მიმწოდებელი,, გადაუდებელი აუცილებლობის მიზეზების მითითებით."

20. 51-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 51. ევროპული წარმოების პროდუქციის ხელშეწყობა

1. ტელემაუწყებელი ვალდებულია, სადაც ეს შესაძლებელია, უზრუნველყოს სატელევიზიო დროის (ახალი ამბების პროგრამების, სპორტული მოვლენებისა და თამაშების, რეკლამის, ტელეტექსტისა და ტელეშოპინგისათვის გამოყოფილი დროის გამოკლებით) ნაწილის ევროპული წარმოების პროდუქციისათვის გამოყოფა. ევროპული წარმოების პროდუქციისათვის დათმობილი დროის ეს ნაწილი გამოიყენება პროგრესულად, შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე, მაყურებლისა და მსმენელის წინაშე მაუწყებლის საინფორმაციო, საგანმანათლებლო, გასართობი და კულტურული ვალდებულებების გათვალისწინებით.
2. მაუწყებელმა მისი სატელევიზიო დროის მინიმუმ 10% (ახალი ამბების პროგრამების, სპორტული მოვლენებისა და თამაშების, რეკლამის, ტელეტექსტის და ტელეშოპინგისათვის გამოყოფილი დროის გამოკლებით) ან შენაცვლებით მისი პროგრამების ბიუჯეტის მინიმუმ 10% ტელემაუწყებლისგან დამოუკიდებელი პროდიუსერების მიერ შექმნილი ევროპული წარმოების პროდუქციას უნდა დაუთმოს.

3. ამ მუხლი მე–2 პუნქტის შესაბამისად, ევროპული წარმოების პროდუქციისთვის სატელევიზიო დროის გამოყოფის პროპორციულობა დაცული იქნება, თუ სატელევიზიო დრო გამოიყოფა ისეთი პროდუქციისთვის, რომლის გავრცელება ხორციელდება მისი შექმნიდან 5 წლის განმავლობაში.
4. ეს მუხლი ვრცელდება მხოლოდ ეროვნულ მაუწყებლებზე.";

21. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 51^2 მუხლი:

„51^2 მუხლი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები

1. ტელემაუწყებელი, გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელი, მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირი ვალდებულნი არიან უზრუნველყონ განთავსებული პროგრამების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თანაბარი ხელმისაწვდომობა.

2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებული (აუდიოდესკრიფციით, ტელეტექსტური მომსახურებით, სუბტიტრებით და ჟესტების ენით) პროგრამების დამზადებისა და განთავსების წესს, მათ შორის, ასეთი პროგრამების დამზადებასა და განთავსებასთან დაკავშირებით მაუწყებლების, მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირებისა და გამოძახებითი აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლების უფლებებსა და ვალდებულებებს ადგენს კომისია.";

22. 52-ე მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მაუწყებლები და გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლები ვალდებული არიან, მიიღონ ყველა ზომა პროგრამებში მოყვანილი ფაქტების ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველსაყოფად და დროულად შეასწორონ შეცდომები.
2.დაინტერესებულ პირს საწყისი განცხადების გაკეთებიდან, მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან, 10 დღის ვადაში უფლება აქვს მოსთხოვოს შესაბამის მაუწყებელს/გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელს საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და მაუწყებლის შემთხვევაში, დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება.";

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორებაზე ან უარყოფაზე მაუწყებლის/გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის უარი შეიძლება გასაჩივრდეს კომისიაში ან სასამართლოში."

23. 53-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მაუწყებლები და გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლები ვალდებული არიან, ყოველკვირეულად გამოაქვეყნონ მომდევნო კვირის პროგრამების განრიგი, პროგრამების დასახელებისა და მოკლე ანოტაციის მითითებით; მოახდინონ პროგრამების, მათ

შორის, ფილმების, კლასიფიკაცია მათთვის კატეგორიისა და შესაბამისი აღმნიშვნელი ნიშნის მინიჭებით.";

24. 54-ე მუხლი ჩამოყალბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მაუწყებლები და გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლები ვალდებული არიან უზრუნველყონ ფაქტების ზუსტი და სამართლიანი გაშუქება, ფაქტისა და აზრის მკაფიო გამიჯვნა და აზრის ავტორის იდენტიფიცირება.
2. მაუწყებლები და გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლები ვალდებული არიან ახალი ამბების პროგრამებში უზრუნველყონ ფაქტებთან და მოვლენებთან დაკავშირებული ყველა საგულისხმო განსხვავებული აზრის სათანადოდ წარმოჩენა რომელიმე ჯგუფისა თუ აზრის დისკრიმინაციის გარეშე."

25. 56-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„მუხლი 56. პროგრამული შეზღუდვები
1. იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას.
2. იკრძალება ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის განთავსება, რომელიც შეიცავს უხამსობას.
3. იკრძალება ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე მავნე ზეგავლენის მომხდენი პროგრამების იმ დროს განთავსება, როცა მათ მიერ ამ პროგრამების ნახვის ან მოსმენის დიდი ალბათობა არსებობს. ამგვარი პროგრამების გადაცემას წინ უნდა უსწრებდეს ხმოვანი გაფრთხილება ან პროგრამის მთელი მიმდინარეობის დროს უნდა ახლდეს შესაბამისი გამაფთხილებელი ნიშანი. გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელი ასეთ პროგრამებს ანთავსებს ამ კანონის 45² მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად."

26. 56-ე მუხლის შემდეგ დაემატოს 56¹ მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 56¹ პროგრამული აკრძალვები

1. იკრძალება ნებისმიერი სახით ომის პროპაგანდა.
2. იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის.
3. პროგრამა, რომელიც შეიცავს პორნოგრაფიას, შეიძლება განთავსდეს მხოლოდ კოდირებული ფორმით, მომხმარებელთან ინდივიდუალურად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე."

27. 57-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 57. ქვეცნობიერზე ზემოქმედების დაუშვებლობა

მაუწყებლებს და გამოძახებით აუდიოვიზუალურ მედია მომსახურების მიმწოდებლებს ეკრძალებათ ისეთი პროგრამის გადაცემა, რომელსაც შეუძლია ტექნიკური აუდიო- ან ვიზუალური მონტაჟის საშუალებით დროის უმცირეს მონაკვეთში ან სხვაგვარად გადასცეს ინფორმაცია ან მსმენელის ან მაყურებლის ქვეცნობიერზე ზემოქმედებით გავლენა მოახდინოს მათ აზრებზე ისე, რომ მათ ნაწილობრივ ან სრულად არ ჰქონდეთ გაცნობიერებული ეს გავლენა.";

28. 58-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტები:

„4. ტელემაუწყებლები, რომლებიც გადასცემენ მთავარ მოვლენას, მოკლე საინფორმაციო გამოშვებებში გაშუქების მიზნით, ვალდებულნი არიან სამართლიანი, გონივრული და არადისკრიმინაციული პირობებით უზრუნველყონ სხვა მაუწყებლების დაშვება მთავარი მოვლენის გადაცემაზე. მთავარი მოვლენის გადაცემაზე დაშვების პირობები დაშვების მსურველს უნდა ეცნობოს დროულად, მთავარი მოვლენის დადგომამდე იმგვარად, რომ მას საკმარისი დრო ჰქონდეს მთავარი მოვლენის გადასაცემად;
5. იმ შემთხვევაში, თუ ტელემაუწყებელი ფლობს მთავარი მოვლენის გაშუქების ექსკლუზიურ უფლებებს, დაშვება აღნიშნული მოვლენების საინფორმაციო გამოშვებებში გაშუქების მიზნით, მოპოვებულ უნდა იქნას ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად;

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მთავარი მოვლენის გადაცემაზე დაშვების უზრუნველყოფის მიზნით ტელემაუწყებლებს საშუალება უნდა მიეცეთ თავისუფლად აირჩიონ მოკლე ნაწყვეტები ტელემაუწყებლის მიერ მიწოდებული სიგნალიდან, როგორც მინიმუმ მათი საინფორმაციო წყაროების მითითებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პრაქტიკულად შეუძლებელია.

7. მოკლე ნაწყვეტები გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ საინფორმაციო გამოშვების მიზნებისათვის. გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების ფარგლებში, მოკლე ნაწყვეტების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგივე პროგრამა შეთავაზებულია გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელი მაუწყებლის მიერ ჩანაწერის სახით."
8. ტელემაუწყებლის მიერ მოწოდებული სიგნალიდან მოკლე ნაწყვეტების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 90 წამს. ტელემაუწყებელს უფლება აქვს მოითხოვოს კომპენსაცია მოკლე ნაწყვეტის გამოყენებისთვის. ასეთ შემთხვევაში კომპენსაციის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დაშვების უზრუნველყოფიდან პირდაპირ წარმოშობილი დამატებითი ხარჯების ოდენობას.

29. 59[1]-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 59[1]. დარღვევაზე რეაგირება

1. ამ კანონის 52-ე, 54-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების, აგრეთვე ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების დარღვევებზე რეაგირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში.

2. დაუშვებელია ამ კანონის 52-ე, 54-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების, აგრეთვე ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული საკითხების, ასევე ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი

პუნქტით განსაზღვრული თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების სასამართლოში, კომისიაში ან რომელიმე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრება. ამ კანონის 56-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის თაობაზე დაინტერესებული პირის საჩივარზე მაუწყებლის/გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის სააპელაციო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს კომისიაში ან სასამართლოში.";

30. მე-60 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირს უფლება აქვს, დამოუკიდებლად ან მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირთან ერთად თითო მომსახურების ზონაში ფლობდეს არაუმეტეს 1 საერთო საეთერო რადიოარხს.
2. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია თავის ქსელში გაატაროს ერთი პირის ან მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირის მფლობელობაში არსებული არაუმეტეს 5 ტელემაუწყებლისა.";

31. 61-ე მუხლის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 61. მაუწყებლის/გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის საკუთრების გამჭვირვალობა

1. ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი ვალდებულია ყოველწლიურად გამოაქვეყნოს და კომისიას წარუდგინოს შემდეგი ინფორმაცია:
ა) შესაბამისობის დეკლარაცია;
ბ) მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიის ფლობის ან მაუწყებლობის/გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების ავტორიზაციის შესახებ;
გ) სხვა მაუწყებელში/გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელში წილის ან აქციების ფლობის შესახებ;
დ) პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის ფლობის შესახებ;
ე) პერიოდულ ბეჭდვით გამოცემაში წილის ან აქციების ფლობის შესახებ;
ვ) საინფორმაციო სააგენტოს ფლობის შესახებ;
ზ) საინფორმაციო სააგენტოში წილის ან აქციების ფლობის შესახებ;
თ) სხვა საწარმოს ან სხვა საწარმოში წილის ან აქციების 5%-ის ან მეტის ფლობის შესახებ.
2. ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას კომისიას წარუდგენს არა უგვიანეს მომდევნო წლის 1 თებერვლისა.
3. ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი ასევე ვალდებულია გამოაქვეყნოს და კომისიას წარუდგინოს ინფორმაცია, თუ მისი წილის ან აქციების მფლობელი, დამფუძნებელი, სხვა წევრი, ხელმძღვანელი, შემომწირველი ან მათი ოჯახის წევრი იმავდროულად ფლობს:
ა) მაუწყებლის შემთხვევაში მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიის მფლობელის ან მაუწყებლობაზე ავტორიზებული პირის წილს ან აქციებს, ხოლო გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის შემთხვევაში გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების სფერიში სხვა ავტორიზებული პირის წილს ან აქციებს;
ბ) პერიოდულ ბეჭდვით გამოცემაში წილს ან აქციებს;
გ) საინფორმაციო სააგენტოში წილს ან აქციებს.

4. ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი შესაბამისობის დეკლარაციას აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე.";

32. 63-ე მუხლის:
ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,, 2. იკრძალება არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო, უხამსი, არაეთიკური რეკლამის ან ტელეშოპინგის განთავსება. ამ პუნქტით გათვალისწინებული რეკლამები, გარდა უხამსი რეკლამისა, განიმარტება ,,რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერმინთა განმარტებების შესაბამისად. "

ბ) 2^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^2, 2^3, 2^4 და 2^5 პუნქტები:

„2^2. აუდიოვიზუალური სარეკლამო კომუნიკაცია უნდა იყოს ადვილად ამოსაცნობი. აკრძალულია ფარული აუდიოვიზუალური სარეკლამო კომუნიკაცია.
2^3. იკრძალება ნებისმიერი სახით ომის პროპაგანდა რეკლამაში.
2^4. იკრძალება ისეთი რეკლამების განთავსება, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის.
2^5. რეკლამა, რომელიც შეიცავს პორნოგრაფიას, შეიძლება განთავსდეს მხოლოდ კოდირებული ფორმით, მომხმარებელთან ინდივიდუალურად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე."

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. მაუწყებელი/გამომცემელი აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელი პასუხს არ აგებს წინასაარჩევნო და სოციალური რეკლამების შინაარსზე. წინასაარჩევნო და სოციალური რეკლამების შინაარსზე პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება შესაბამისი რეკლამის დამკვეთს."

დ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. რეკლამა და ტელეშოპინგი იდენტიფიცირებული და პროგრამისაგან მკაფიოდ გამიჯნული უნდა იყოს. სამაუწყებლო რეკლამა და ტელეშოპინგი მკაფიოდ უნდა იყოს გამოყოფილი სხვა ნაწილებისგან ოპტიკური, ხმოვანი ან/და სივრცითი ნაწილებით.";

ე) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^1 პუნქტი:

,,7^1 „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები ვრცელდება ალკოჰოლური სასმელის ტელეშოპინგზე. „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები ვრცელდება ფარმაცევტული პროდუქციის ტელეშოპინგზე.";

ვ) მე-11, მე-12, მე-13, მე-14 და მე-15 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. მაუწყებლის არხზე აკრძალულია შემდეგი ღონისძიებების ტრანსლაციისა და პროგრამების რეკლამით ან ტელეშოპინგით შეწყვეტა:
ა) ოფიციალური სახელმწიფო ღონისძიება, უმაღლესი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის ოფიციალური გამოსვლა;

ბ) რელიგიური ცერემონია;
გ) პროგრამა, მათ შორის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, რელიგიური, წინასაარჩევნო დებატების პროგრამა, ან დოკუმენტური ფილმი, რომლის ხანგრძლივობა 15 წუთზე ნაკლებია.
12. ბუნებრივი ინტერვალებისაგან შემდგარ სპორტულ ან მხატვრულ წარმოდგენაში და ანალოგიურად ჩატარებული ღონისძიებისადმი მიძღვნილ პროგრამაში რეკლამა ან ტელეშოპინგი მაუწყებლის არხზე შეიძლება განთავსდეს მხოლოდ ბუნებრივი ინტერვალის დროს.
13. მაუწყებლის არხზე ახალი ამბების პროგრამა რეკლამით ან ტელეშოპინგით შეიძლება შეწყდეს არაუმეტეს 30 წუთში ერთხელ .
14. მაუწყებლის არხზე საბავშვო პროგრამა, რომლის ხანგრძლივობა 30 წუთზე ნაკლებია, რეკლამით ან ტელეშოპინგით არ შეიძლება შეწყდეს, ხოლო საბავშვო პროგრამა , რომლის ხანგრძლივობა 30 წუთზე მეტია, რეკლამით შეიძლება შეწყდეს 30 წუთში ერთხელ .
15. მხატვრული ფილმი ან ტელეფილმი ან ფილმის (გარდა სერიალისა და დოკუმენტური ფილმისა) სერია, რომლის ხანგრძლივობა 30 წუთზე მეტია, მაუწყებლის არხზე რეკლამით ან ტელეშოპინგით შეიძლება შეწყდეს არაუმეტეს 30 წუთში ერთხელ.";

ზ) მე-17 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ 17. აკრძალულია მაუწყებლის/გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის მიერ ახალი ამბების პროგრამაში რაიმე პროდუქტის ან მომსახურების რეკლამირება.";

33. 64-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1.მაუწყებლის არხზე, გარდა ბუნებრივი ინტერვალებისაგან შემდგარი სპორტული ღონისძიებების გადაცემისა, დაუშვებელია განცალკევებული კომერციული რეკლამისა და ტელეშოპინგის განთავსება.";

34. 65-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეროვნული მაუწყებელი ვალდებულია ეთერში განთავსების მიზნით წარმოდგენილ სოციალურ რეკლამას უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად დაუთმოს 3 საათში ჯამში არანაკლებ 90 წამისა."

35. 66^1 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აკრძალულია ადმინისტრაციული ორგანოს, პოლიტიკური პარტიის, თანამდებობის პირისა და საჯარო მოსამსახურის მიერ მაუწყებლის დაფინანსება, აგრეთვე მისი მომსახურების შესყიდვა და მაუწყებლის პროგრამების მომზადების ან/და ეთერში გადაცემის პირდაპირი ან ირიბი დაფინანსება ან თანადაფინანსება, ასევე, გამოძახებით აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის პირდაპირი ან ირიბი დაფინანსება ან თანადაფინანსება, აგერთვე, მისი მომსახურების შესყიდვა, გარდა ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.";

ბ) 2^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^2 პუნქტი:

„2^2. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეისყიდოს გამოძახებით აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის მომსახურება სოციალური რეკლამის განთავსების ან/და

საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია მისი ბიუჯეტის ცალკე მუხლით. ასეთ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანო არის შემსყიდველი ორგანიზაცია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.“

გ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დააფინანსოს მაუწყებლის მიერ სატელევიზიო გასართობი/შემეცნებითი გადაცემის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ადაპტაციისათვის გაწეული დამატებითი ხარჯები, გადაცემის ეთერში გასვლის შემდგომ. ამ შემთხვევაში მაუწყებელმა ადმინისტრაციულ ორგანოსა და კომისიას უნდა წარუდგინოს ანგარიში გადაცემის ადაპტაციასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების შესახებ, შესაბამისი პირველადი ფინანსური დოკუმენტების (ინვოისი, მიღება ჩაბარების აქტი, ხელშეკრულება და ა.შ.) დართვით. ხოლო, კომისიამ უნდა განახორციელოს მონიტორინგი და დაადასტუროს, რომ ეთერში გასული გადაცემა შეესაბამებოდა კომისიის მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ჟესტური ენით, სუბტიტრებითა და აუდიოდესკრიფციით გადაცემების დამზადებისა და განთავსების სახელმძღვანელო წესებს.”

36. 69-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სპონსორს ან რეკლამის მიმწოდებელს ეკრძალება მის მიერ დაფინანსებული პროგრამის შინაარსსა და ხანგრძლივობაზე გავლენის მოხდენა ან აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის ან რადიომაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევა.“;

37. 69[1] მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსება ისე უნდა მოხდეს, რომ:
ა) მან გავლენა არ მოახდინოს პროგრამის შინაარსზე, მათ შორის, აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის ან რადიომაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობაზე;
ბ) ის არ შეიცავდეს პროდუქტის შეძენისაკენ პირდაპირ მოწოდებას;
გ) მან პროდუქტს გადაჭარბებული მნიშვნელობა არ მიანიჭოს.
3. პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსება მკაფიოდ იდენტიფიცირებული უნდა იყოს. იმ პროგრამის დასაწყისში და დასასრულს, აგრეთვე ყოველი სარეკლამო ან სხვა სახის წყვეტის შემდეგ, რომელშიც ხდება პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსება, ნათლად უნდა მიეთითოს ამის შესახებ. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება მაუწყებლის მიერ სამაუწყებლო ბადეში ან/და გამოძახებითი აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის მიერ მისი მომსახურების ფარგლებში განთავსებულ დამოუკიდებელ პროგრამაზე.“

38. 70-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელი და რადიომაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს მის მიერ გადაცემული პროგრამების, რეკლამისა და სპონსორების შესახებ ინფორმაციის საქართველოს კანონმდებლობასთან და ლიცენზიის/ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობა.
2. აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის და რადიომაუწყებლის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე ზედამხედველობასა და კონტროლს

ახორციელებს მხოლოდ კომისია, გარდა საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლისა.

2[1]. ეროვნული მაუწყებელი ვალდებულია ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) კომისიის მიერ დამტკიცებული და საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილებით სამოქმედოდ შემოღებული სტანდარტების მიხედვით.

3. აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელი და რადიომაუწყებელი ვალდებულია ყოველი წლის 1 მაისამდე კომისიას წარუდგინოს და თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს გასული წლის ანგარიში საქართველოს კანონმდებლობის, სალიცენზიო/ავტორიზაციის პირობებისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ. ანგარიშს უნდა დაერთოს აუდიტის დასკვნა.

3 [1]. ეროვნული მაუწყებელი ვალდებულია ყოველი წლის 1 მაისამდე კომისიას მიაწოდოს ინფორმაცია თავისი გასული წლის აქტივებისა და პასივების, აგრეთვე გასულ წელს განხორციელებული ინვესტიციების (მათი ოდენობისა და ინვესტორთა მითითებით) შესახებ.

4. კომისია ადგენს ანგარიშგების ელექტრონულ ფორმებს. ანგარიშგების ფორმებში, გარდა ამ კანონით განსაზღვრული სხვა ინფორმაციისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს ინფორმაცია აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის და რადიომაუწყებლის დაფინანსების წყაროების შესახებ მათ შორის, ცალ-ცალკე რეკლამიდან, სპონსორობიდან, ტელეშოპინგიდან და აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელის და რადიომაუწყებლის მფლობელის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ განხორციელებული შემოწირულებებიდან მიღებული შემოსავლების თაობაზე. ანგარიშგების ფორმებში გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე ინფორმაცია მაუწყებლისთვის გაწეული მომსახურების შესახებ, მათ შორის, მაუწყებლის მფლობელის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ გაწეული ფასიანი თუ უფასო მომსახურების თაობაზე. აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელი და რადიომაუწყებელი ვალდებულია ყოველი კვარტალის დასრულების შემდეგ მომდევნო თვის 15 რიცხვამდე წარუდგინოს კომისიას ანგარიშგების ფორმები.

4[1]. კომისია ანგარიშგების ფორმების მიღებიდან 7 დღეში აქვეყნებს ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ, აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლებისა და რადიომაუწყებლების მიერ შევსებულ ანგარიშგების ფორმებს.

4[2]. კომისია ასაჯაროებს იმ პირის ვინაობას, რომლის მიერ აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელში და რადიომაუწყებელში ბოლო 3 თვის განმავლობაში განთავსებული რეკლამის ან ტელეშოპინგის, განხორციელებული სპონსორობის ან გაწეული მომსახურების ღირებულებამ ან განხორციელებულმა შემოწირულებამ შვიდი ათას ლარზე მეტი შეადგინა.

5. კომისია უფლებამოსილია აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელისაგან და რადიომაუწყებლისაგან გამოითხოვოს, ხოლო აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელი/რადიომაუწყებელი ვალდებულია კომისიას სრულად და მოთხოვნილ ვადაში მიაწოდოს ამ კანონითა და კომისიის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობის, ლიცენზიის/ავტორიზაციის პირობებისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულების შესახებ, აგრეთვე საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მაუწყებლის მიერ კომისიისათვის არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდება ითვლება ინფორმაციის მიუწოდებლობად. აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელმა დარადიომაუწყებელმა მოთხოვნილი ინფორმაცია კომისიას უნდა წარუდგინოს მოთხოვნიდან 15 დღის ვადაში, თუ კომისიის მიერ სხვა ვადა არ არის განსაზღვრული. კომისია უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა და ლიცენზიის/ავტორიზაციის

პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანქციები.";

39. 71-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის ან/და რადიომაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ან კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის, აგრეთვე ლიცენზიის/ ავტორიზაციის პირობების დარღვევის შემთხვევაში კომისია ვალდებულია განიხილოს შესაბამისი საკითხი. დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამრღვევი წერილობით გააფრთხილოს. კომისიის მიერ აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის ან/და რადიომაუწყებლის მიმართ სანქციის გამოყენების მიზანი უნდა იყოს დარღვევის აღმოფხვრა ან პრევენცია. კომისია აუდიოვიზუალურ მედია მომსახურების მიმწოდებელს ან/და რადიომაუწყებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დარღვევის აღმოფხვრისათვის ან პრევენციისათვის ღონისძიებათა განსახორციელებლად.
2. კომისია ვალდებულია აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელს ან/და რადიომაუწყებელს დააკისროს ჯარიმა, თუ მან ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გაფრთხილებაში მითითებულ ვადაში არ აღმოფხვრა გაფრთხილებაში აღნიშნული დარღვევა ან არ შეასრულა კომისიის გადაწყვეტილება, აგრეთვე თუ მან ზემოაღნიშნული გაფრთხილების მიღებიდან 1 წლის განმავლობაში ჩაიდინა ახალი დარღვევა.";

40. 72-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის 71-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამრღვევს დააკისროს ჯარიმა არა უმეტეს მისი წლიური შემოსავლის 0,5%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2500 ლარისა.
2. აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის ან/და რადიომაუწყებლის დაჯარიმების შემდეგ მის მიერ დენადი ხასიათის დარღვევის გაგრძელების ან/და დაჯარიმებიდან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამრღვევს დააკისროს ჯარიმა არაუმეტეს მისი წლიური შემოსავლის 1%-ისა, მაგრამ არანაკლებ 5000 ლარისა, ან დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ლიცენზიის მოქმედების შესაჩერებლად/ ავტორიზაციის შესაჩერებლად.
3. აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის ან/და რადიომაუწყებლის მეორედ დაჯარიმების შემდეგ მის მიერ დენადი ხასიათის დარღვევის გაგრძელების ან/და მეორედ დაჯარიმების შემდეგ, მაგრამ პირველი დაჯარიმებიდან 1 წლის განმავლობაში, ყოველი ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამრღვევს დააკისროს ჯარიმა არაუმეტეს მისი წლიური შემოსავლის 3%-ისა, მაგრამ არანაკლებ 10000 ლარისა, ან დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ლიცენზიის მოქმედების შესაჩერებლად/ ავტორიზაციის შესაჩერებლად.
4. დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილება მოტივებისა და საფუძვლების მითითებით, გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში წერილობით ეცნობება აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელს ან/რადიომაუწყებელს;
5. ჯარიმა გადახდილი უნდა იქნეს დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლისათვის ან/და რადიომაუწყებლისთვის ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში.
6. აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის ან/და რადიომაუწყებლის მიერ დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში

შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო. ჯარიმის თანხა ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.“

41. 75-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მაუწყებელი დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებისათვის რადიოსიხშირეებით სარგებლობის უფლებას საჭიროების შემთხვევაში მოიპოვებს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47[1] მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესით.“

42. 76-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 34-ე და 35-ე პუნქტები:

„34. კომისიამ 2021 წლის პირველ იანვრამდე დაადგინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებული (აუდიოდესკრიფციით, ტელეტექსტური მომსახურებით, სუბტიტრებით და ჟესტების ენით) პროგრამების დამზადებისა და განთავსების წესი.

35. მაუწყებელი, გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებელი, მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირი ვალდებულნი არიან უზრუნველყონ, განთავსებული პროგრამების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თანაბარი ხელმისაწვდომობა 2025 წლის პირველ იანვრამდე.“

მუხლი 2.

ეს კანონი, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი